# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 6

„3" დეკემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 11 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

**ფრაქციები:**

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" – 6 წევრი;

ბ) ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 3 წევრი;

გ) ფრაქცია ,, თბილისი საქართველოსთვის" – 1 წევრი;

2. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

**მუხლი 2.**

განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე